



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოვალკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 35, 2023

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
Global Witness - ევროკავშირში რუსული თხევადი გაზის იმპორტი რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ 40%-ით გაიზარდა.....	2
თბილისში გაზის კომერციული ტარიფი შემცირდა.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
"მოსახლეობამ ელექტროენერგიაში ფული ისევე უნდა გადაიხადოს, როგორც პურში" - ასლან ბჟანია	3
7 თვეში საქართველოდან \$80 მლნ ღირებულების ელექტროენერგის ექსპორტი განხორციელდა.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
საქართველოს განახლებადი ენერჯის სექტორში ინვესტირების გაზრდის მექანიზმები	4
ელექტროტრანსპორტი „მწვანე“ მომავლისთვის	5
კლიმატის ცვლილება.....	6
როგორ შეცვალა ბაიდენის კლიმატთან დაკავშირებულმა კანონპროექტმა აშშ-ის ეკონომიკა?.....	6
ევროკავშირი განიხილავს „CO2- ნეიტრალობის“ სტანდარტის შერბილების შესაძლებლობას ელექტროსაწვავისთვის	7
ღონისძიებები	8

ნავთობი და გაზი

Global Witness - ევროკავშირში რუსული თხევადი გაზის იმპორტი

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ 40%-ით გაიზარდა

ევროკავშირის ქვეყნებში თხევადი გაზის იმპორტი რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ 40%-ით გაიზარდა, - ამის შესახებ ანტიკორუფციული ჯგუფის, Global Witness-ის ანგარიშშია აღნიშნული.

„2023 წლის იანვრიდან ივლისამდე ევროკავშირის ქვეყნებმა 22 მილიონი კუბური მეტრი თხევადი გაზი შეიძინეს, მაშინ, როცა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 15 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენდა- რაც 40%-იანი ზრდაა“, - აღნიშნულია ანგარიშში.

ორგანიზაციის შეფასებით, ევროკავშირის ქვეყნებმა, 2023 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში, ბაზარზე რუსული თხევადი გაზის ნახევარი იყიდეს.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთი და ბელგია, რომლებიც ბლოკისთვის თხევადი გაზის მიწოდების მთავარი კარიბჭეები არიან, რუსული გაზის ნომერ მეორე და მესამე უმსხვილესი შემსყიდველები არიან მსოფლიოში, ჩინეთის შემდეგ.

„ახლა, ევროკავშირის ქვეყნები ყიდულობენ რუსეთის მარაგის დიდ ნაწილს, რაც მხარს უჭერს კრემლის შემოსავლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს“, - განაცხადა Global Witness-ის წარმომადგენელმა, ჯონათან ნორონჰა-განტმა, რომელმაც ანალიზი ჩაატარა.

მისი თქმით, რუსული გაზის ყიდვას იგივე გავლენა აქვს, რაც რუსული ნავთობის ყიდვას.

„რუსული გაზის ყიდვას იგივე გავლენა აქვს, რაც რუსული ნავთობის ყიდვას. ორივე აფინანსებს უკრაინის ომს და ყოველი ევრო ნიშნავს მეტ სისხლისღვრას. მაშინ, როცა ევროპული ქვეყნები გმოზენ ომს, ისინი ფულს პუტინის ჯიბეებში დებენ. ამ ქვეყნებმა თავიანთი ქმედებები უნდა შეათანხმონ თავიანთ სიტყვებთან და აკრძალონ ვაჭრობა რუსული თხევადი გაზით, რომელიც რომელიც აძლიერებს როგორც ომს, ასევე კლიმატის კრიზისს“, - აღნიშნა ჯონათან ნორონჰა-განტმა.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/zwloDPCi>

თბილისში გაზის კომერციული ტარიფი შემცირდა

"თბილისი ენერჯი", რომელიც დედაქალაქის უმსხვილესი გაზის მიმწოდებელია, დღეიდან კომერციული აბონენტებისთვის გაზის ტარიფს ამცირებს. კომპანიამ ტარიფის კლება 31 ივლისს გაკეთებული განცხადებით დაანონსა და ის კომპანიის აბონენტ იურიდიულ პირებს (კომერციულ აბონენტებს) შეეხება.

"კომპანია ახორციელებს ბუნებრივი გაზის იმპორტს და გადახდას აწარმოებს აშშ დოლარში. მომწოდებლების მიერ შესასყიდი გაზის ფასის შემცირების და ამასთან, აშშ დოლართან მიმართებით ეროვნული ვალუტის გამყარების გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს არასაყოფაცხოვრებო ტარიფი. გამომდინარე აქედან, 2023 წლის 1 სექტემბრიდან შპს „თბილისი ენერჯის“ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 1.35 (ერთი ლარი და 35 თეთრი) ლარის ნაცვლად, განისაზღვრება 1.24 (ერთი ლარი და 24 თეთრი) ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივი გაზის ფასი არ იცვლება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის და ტარიფი კვლავ 0.539708 ლარი იქნება ერთ კუბურ მეტრზე,"- ნათქვამია კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, "თბილისი ენერჯი" დედაქალაქში ნახევარ მილიონზე მეტ საყოფაცხოვრებო აბონენტს ემსახურება, კომპანიას არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების რაოდენობა 20,000-მდეა.

წყარო: bm.ge - <https://bm.ge/news/tbilisshi-gazis-komertsiuli-tarifi-shemtsirda>

ელექტროენერგეტიკა

"მოსახლეობამ ელექტროენერგიაში ფული ისევე უნდა გადაიხადოს, როგორც პურში" - ასლან ბჟანია

ოკუპირებულ აფხაზეთში ელექტროენერჯის მიწოდების პრობლემა წლებია გადაუჭრელია. გამრიცხველიანებასთან ერთად ტერიტორიაზე გამოწვევაა უკანონო მაინინგი, რომელიც დენის მოხმარებას ზრდის. აფხაზეთში ელექტროენერჯის მოხმარება დღე-ღამეში 11 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს. 2022 წელს ოკუპირებულმა აფხაზეთმა მთლიანობაში 3 მლრდ კვტ/სთ ელენერგია მოიხმარა. აქედან 900 მლნ კვტ/სთ რუსეთიდან მიიღო, ხოლო 2,1 მლრდ კვტ/სთ ენგურჰესიდან.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი, ასლან ბჟანია დღეს გალის რაიონში ენგურჰესის კომპლექსის საქმიანობას გაეცნო. ე.წ. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან მეზონიამ ასლან ბჟანიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ ფუნქციონირებს ენერგეტიკული კომპლექსი და როგორია მისი ამჟამინდელი მდგომარეობა. ასლან ბჟანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „წელს შარშანდელზე ბევრად უკეთესი მდგომარეობაა“.

„მიუხედავად ამისა, შემოდგომაზე წყალი არ იქნება საკმარისი და შესაბამისად, მოგვიწევს, ელექტროენერჯის უზრუნველსაყოფად ისევე რუსეთის ხელმძღვანელობას მივმართოთ“, - განაცხადა ბჟანიამ.

დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, მსგავსი სიტუაციებში „ბევრ მეზობელ სახელმწიფოს შეექმნა“. ბჟანიამ ენერგეტიკული რეფორმის აუცილებლობაზე ისაუბრა.

„საქართველოში იყო დრო, როცა ელექტროენერგია 5,7,10 საათის განმავლობაში ითიშებოდა არის ეკონომიკური მიდგომები, უკვე დანერგილია და ჩვენ დაგვჭირდება ამ გზით გავლა. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს“, - აღნიშნა ბჟანიამ.

როგორც ბჟანიამ განაცხადა, მოსახლეობამ ელექტროენერგიაში ფული ისევე უნდა გადაიხადოს როგორც პურში, ფქვილსა და მობილურ კავშირში.

„ამ თანხის გადახდა აუცილებელია ისევე როგორც ვიხდით პურში, ფქვილში, მობილურ კავშირსა და სხვა საქონელში, რომლებსაც ვიყენებთ. ელექტროენერგია იგივე საქონელია, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. ელექტროენერგეტიკა პოლიტიკას ექვემდებარებოდა. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ეს ეკონომიკის სფეროა და მან ეკონომიკის კანონებით უნდა იარსებოს. ეს უნდა გავითავისოთ და გავიგოთ“, - განაცხადა ასლან ბჟანიამ.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/pwloDmig>

7 თვეში საქართველოდან \$80 მლნ ღირებულების ელექტროენერჯის ექსპორტი განხორციელდა

2023 წლის 7 თვეში საქართველომ რეკორდული მოცულობის ელექტროენერჯის ექსპორტი განახორციელა. იანვარ-ივლისში ჯამში 1 140.7 მლნ კვტ.სთ-ის მოცულობის ელექტროენერჯია გაყიდა ქვეყანამ, მაშინ როცა 2022 წელს [წლიურად] ეს მაჩვენებელი 971.1 მლნ კვტ.სთ იყო.

2023 წლის იანვარ-ივლისში ელექტროენერჯის ექსპორტიდან ქვეყანამ 80.1 მლნ დოლარი მიიღო, რაც თითქმის 24%-ით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდზე. აქედან 71 მლნ დოლარამდე ღირებულების ელექტროენერჯია საქართველომ თურქეთში გაყიდა, ანუ 10 მლნ დოლარით მეტი 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ჯამში საქართველოდან თურქეთში 975,91 მლნ კვტსთ-ის მოცულობის ელექტროენერჯია ექსპორტირებული, რაც მთლიანი ექსპორტის 85%-ს შეადგენს.

ასევე 5 მლნ დოლარამდე გაზარდა საქართველომ აზერბაიჯანში ელექტროენერჯის ექსპორტისგან მიღებული შემოსავალი. აზერბაიჯანში ექსპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობა 86,16 მლნ კვტსთ შეადგენს.

მთავრობამ ელექტროენერჯის ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებელი თითქმის 400 მლნ კვტსთ-ით გაზარდა. კერძოდ, 2023 წლის აპრილში მთავრობა ელექტროენერჯის ექსპორტს ივლისის ჩათვლით პროგნოზირებდა და ელოდა, რომ ჯამურად 1001,9 მლნ კვტსთ-ს მიაღწევდა.

18 აგვისტოს კი ეკონომიკის მინისტრის ლევან დავითაშვილის ბრძანებაში ცვლილება შევიდა და ექსპორტის წლიური მაჩვენებელი 2023 წელს 1404,3 მლნ კვტსთ-მდე გაიზარდა. მთავრობის პროგნოზით, წელს ელექტროენერჯის ექსპორტი აგვისტომდე გაგრძელდება.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/CwkuaCDo>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

საქართველოს განახლებადი ენერჯიის სექტორში ინვესტირების გაზრდის მექანიზმები

განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წარმოების სხვადასხვა ბაზარზე ინვესტორთა ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ელექტროენერჯის ადვილად პროგნოზირებადი ტარიფის არსებობა.

იმის გამო, რომ ელექტროსადგურების წინასამშენებლო და სამშენებლო ეტაპების დასაფინანსებლად განკუთვნილი დანახარჯები მაღალია, უმეტეს შემთხვევაში ინვესტორები გარე კაპიტალის მოზიდვას ცდილობენ. რისკის აღება კი ისეთი წამახალისებელი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში უფრო გონივრული ხდება, რა დროსაც მათ შესაძლებლობა ექნებათ, რომ დანახარჯების დაფარვის შედარებით უფრო სტაბილური გზები მოიხილონ სრულად ან ნაწილობრივ დადგენილი ელექტროენერჯის გაყიდვის სავარაუდო ტარიფის განაკვეთის მეშვეობით. მაგალითად, ევროპის კავშირის

ქვეყნების უმრავლესობის ენერგეტიკული პოლიტიკა ელექტროენერჯის სუბსიდირებულ ტარიფს მოიცავს, როგორც არის პორტუგალიაში მოქმედი ე.წ. სასაქონლო ტარიფი, ასევე, სტანდარტულ ფიქსირებულ ტარიფს მიმატებული პრემიუმ-ტარიფი ესპანეთის სამეფოში.

საქართველოში სხვადასხვა დროს არაერთი წამახალისებელი საინვესტიციო მექანიზმი მოქმედებდა, მაგრამ სიახლეს წარმოადგენს ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება. ამის მიუხედავად, არ ვართ შეზღუდულები, რომ სხვა მსგავსი შესაძლებლობებიც გავაანალიზოთ.

ამ სტატიაში მიმოვიხილავთ ქართული კანონმდებლობით რეგულირებულ, არსებულ წამახალისებელ მექანიზმებს, ისევე როგორც სხვა რამდენიმე ალტერნატიულ შესაძლებლობას და წარმოვადგენ რეკომენდაციას...

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/twloDaOt>

ელექტროტრანსპორტი „მწვანე“ მომავლისთვის

სემეკთან არსებული ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის საბჭოს წევრი, სალომე ჯანელიძე ელექტროტრანსპორტის შესახებ საუბრობს: „შიგაწვისძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების ელექტრომობილებით ჩანაცვლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დეკარბონიზაციისა და ენერგეტიკული ტრანზიციისთვის. ჯერ კიდევ 10 წლის წინ, გაყიდული სატრანსპორტო საშუალებების მხოლოდ 0.2%-ს წარმოადგენდა სრულად ელექტროძრავიანი და სადენით დამუხტვადი ჰიბრიდული ელექტრომობილები. თუმცა, მოთხოვნა ელექტრომობილებზე მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელ წლებში. მსოფლიო მასშტაბით, 2022 წელს 10 მილიონი ელექტრომობილი გაიყიდა, რამაც გაყიდული სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების 14% შეადგინა. ამასთან, BloombergNEF-ის პროგნოზით, აღნიშნული მონაცემი 2026 წლისთვის 30%-მდე გაიზრდება.

ელექტროტრანსპორტის პოპულარობა სწრაფად იზრდება ევროპაში. ავტომობილების ევროპული მწარმოებლების ასოციაციის (ACEA) თანახმად, 2019 წელს ევროკავშირში ახლადრეგისტრირებულ ავტომობილებში ელექტრომობილების წილი 1.9% იყო, რაც მკვეთრად გაიზარდა და 2022 წელს 12.1%-ს მიაღწია. პირველად 2022 წელს, ევროკავშირში ელექტრომობილებისა და ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვების საერთო რაოდენობამ მხოლოდ წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ავტომობილების გაყიდვების რაოდენობას გადააჭარბა.

ელექტრომობილებზე გაზრდილი მოთხოვნა, დიდწილად, რეგულაციების დამსახურებაა. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს თანახმად, პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული, წმინდა ნულოვანი ნახშირორჟანგის ემისიების მისაღწევად 2050 წლისთვის, ტრანსპორტის ემისიები დაახლოებით 25%-ით უნდა შემცირდეს 2030 წლისთვის. ევროკავშირში სათბურის გაზების ემისიების თითქმის მეოთხედი სატრანსპორტო სექტორზე მოდის. სწორედ ამიტომ, ბლოკის მიზანია, 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, ახალი სამგზავრო ავტომობილების ნახშირორჟანგის ემისია 2030 წლისთვის 55%-ით შეამციროს. მიზნის მისაღწევად სხვადასხვა წამახალისებელი თუ ამკრძალავი რეგულაციები გამოიყენება. მაგალითად, 2023 წლის მარტში ევროკავშირის საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგულაციით, 2035 წლიდან, იკრძალება შიგაწვისძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა. აღსანიშნავია, რომ აკრძალვა არ ეხება

ავტომობილებს, რომლებიც მოიხმარს ნახშირბად-ნეიტრალურ, სინთეტიკურ საწვავს, რომელიც მიიღება წყალბადისა და ნახშირბადის კომბინირებით.

ელექტროტრანსპორტის ფართო გავრცელებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მათი დამმუხტველი ინფრასტრუქტურის არასაკმარისი რაოდენობა და არათანაბარი ხელმისაწვდომობა რეგიონების მიხედვით. ACEA-ს თანახმად, 2016 წლიდან მოყოლებული, გაყიდული ელექტრომობილების რაოდენობა თითქმის სამჯერ აღემატება დამონტაჟებული დამტენი პუნქტების რაოდენობას. ამავე პერიოდში, ელექტრომობილების გაყიდვების რაოდენობა 17-ჯერ გაიზარდა, ხოლო საჯარო დამტენების რაოდენობა – მხოლოდ 6-ჯერ. შედეგად, სახეზეა ასიმეტრია დამტენებზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის...

წყარო: forbes.ge - <https://forbes.ge/eleqtrotransporti-mtsvane-momavlisthvis/>

კლიმატის ცვლილება

როგორ შეცვალა ბაიდენის კლიმატთან დაკავშირებულმა კანონპროექტმა აშშ-ის ეკონომიკა?

2022 წლის 16 აგვისტოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა “ინფლაციის შემცირების აქტი” დაამტკიცა. ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი კლიმატთან დაკავშირებული კანონპროექტის მიღებიდან, რომელიც მასშტაბურ ინვესტიციებსა და შეღავათებს აერთიანებს, ერთი წელი გავიდა, რაც გარკვეულწილად, ამ ეტაპისთვის, მისი ეკონომიკაზე გავლენის შეფასების საშუალებასაც იძლევა.

ბაიდენის “ინფლაციის შემცირების აქტი” კლიმატური და ენერგეტიკული ინვესტიციებისთვის მთლიანობაში \$369 მილიარდის გამოყოფას ითვალისწინებს, მოსახლეობისთვის, ახალი ელექტრომობილების შესაძენად, \$7,500-ის საგადასახადო შეღავათებს უზრუნველყოფს და სუფთა ენერჯის მიმართულებით, მილიონობით სამუშაო ადგილის შექმნასაც ითვალისწინებს. თუმცა, კანონპროექტს დაუყოვნებლივი ეფექტი ნაკლებად აქვს, უფრო მეტად გრძელვადიანი მიზნებზეა გათვლილი და 2030 წლისთვის, ემისიების დაახლოებით 40%-ით შემცირებას ისახავს მიზნად.

მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგაც სახეზეა შედეგები, რომელიც სწორედ ბაიდენის კანონპროექტს უკავშირდება:

ბიზნესლიდერების ჯგუფის, E2-ის ინფორმაციით, რომელიც კანონპროექტის შემდეგ გამოცხადებულ სუფთა ენერჯის პროექტებს აღრიცხავს, ერთი წლის განმავლობაში, კერძო ინდუსტრიის მიერ სულ მცირე 210 ახალი, სუფთა ენერჯისა და ავტომობილების პროექტი დაანონსდა. მონაცემები მოიცავს ელექტრომობილებთან დაკავშირებულ 97 ახალ, ან გაფართოებულ პროექტს, მზის პანელების 44 და ქარის ტურბინების 18 ქარხანასა და პროექტს, ასევე ბატარეებისა და ენერჯის შემნახველი ობიექტების 35 პროექტს.

თუმცა, E2 მხოლოდ იმ პროექტებს აკვირდება, რომლებიც “ინფლაციის შემცირების აქტის” დამტკიცების შემდეგ, საჯაროდ გამოცხადდა, რის გამოც, აღნიშნული რაოდენობები შესაძლოა კიდევ უფრო დიდი იყო. ამის მიუხედავად, 39 შტატში საჯაროდ დაანონსებული 210 პროექტი, უკვე \$86 მილიარდზე მეტის ინვესტიციასა და მინიმუმ 74,181 ახალ სამუშაო ადგილს გულისხმობს.

კლიმატის ადვოკატირების არაკომერციული ჯგუფის, Climate Power-ის შეფასებით, “ინფლაციის შემცირების აქტის” გავლენით, სუფთა ენერჯის მიმართულებით ბევრად მეტი, 170,600 სამუშაო ადგილი შეიქმნა. მათ შორის არიან როგორც განახლებადი ენერჯის ახალ ქარხნებში დასაქმებული პირები, ასევე სამშენებლო სფეროს მუშაკები, ელექტრიკოსები, მექანიკოსები, დამხმარე პერსონალი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სუფთა ენერჯის სამუშაოების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და არა ისეთი, როგორც წლების წინ იყო მიჩნეული.

Climate Power-ის მონაცემებით, მათ მიერ აღრიცხული ახალი სამუშაო ადგილები, აშშ-ის 44 შტატში, კანონპროექტის მიღების შემდგომ განვითარებული 272 პროექტის წყალობით შეიქმნა. ცნობისთვის, ერთ-ერთი პროექტი, რომელიც Climate Power-ის ანგარიშში მოხვდა, თუმცა E2-ის მიერ აღრიცხული არაა, მინესოტის Xcel-ის მზის ენერჯის ქარხანაა. პროექტი 2021 წელს დაანონსდა, თუმცა აქტის მიღების შემდეგ დამტკიცდა, რის გამოც შედავათებითაც სარგებლობს.

Climate Power-ი პროექტებისთვის ახალი ინვესტიციების ჯამურ მოცულობას \$278 მილიარდად აფასებს. შტატებს შორის, 24 ახალი პროექტით, პირველ ადგილს მიჩიგანი იკავებს, მას მოსდებს ჯორჯია, 22 ახალი პროექტით, ხუთეულს კი სამხრეთ კაროლინა (20), კალიფორნია (16) და ტეხასი (14) ასრულებს. Climate Power-ისა და E2-ის მონაცემებით, ყველაზე მეტად კანონპროექტით რესპუბლიკელების ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულმა ოლქებმა ისარგებლეს. ჯამში 92 რესპუბლიკურ ოლქში სუფთა ენერჯის 152 პროექტი დაანონსდა და 96,216 სამუშაო ადგილი შეიქმნა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “ინფლაციის შემცირების აქტი” მხოლოდ კლიმატის მიმართულების კანონპროექტი არ ყოფილა. კანონპროექტი მოიცავს საკითხებსაც, რომელიც ჯანდაცვის ხარჯებსა და გადასახადებს მიემართება. მათ შორისაა \$8.8 მილიარდის შედავათები და ფასდაკლებები ელექტრომომწოდებლობისა და სახლების ენერგოეფექტიანობის განახლებისთვის, რომელთა ნაწილიც, დიდი ალბათობით, 2023 წლის ბოლოდან ამოქმედდება. გარდა ამისა, ნავარაუდებია, რომ მომდევნო 10 წლის განმავლობაში, კანონპროექტი 9 მილიონზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. ამის ნიშნები უკვე არსებობს, თუმცა საბოლოო შედეგების მიღებამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი.

წყარო: forbes.ge - <https://cutt.ly/gwloS8Ky>

ევროკავშირი განიხილავს „CO2- ნეიტრალობის“ სტანდარტის შერბილების შესაძლებლობას ელექტროსაწვავისთვის

ევროკომისია განიხილავს ელექტროსაწვავზე ნახშირბად-ნეიტრალობის მოთხოვნის შერბილების შესაძლებლობას, რათა დაშვებულ იქნას შიდაწვის ძრავიანი მანქანების გაყიდვა 2035 წლის შემდეგაც. ამას აჩვენებს შიდა დოკუმენტები, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევს განხეთქილებას ევროკავშირის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ საკითხთან დაკავშირებით.

ორი წლის წინ, კომისიამ წარადგინა კანონმდებლობა ახალი მანქანებიდან გამონაბოლქვის ნულამდე შემცირების შესახებ 2035 წლისთვის, კლიმატ-ნეიტრალობის მიზნის მისაღწევად 2050 წლისთვის.

ახალი წესები, რომლებიც მიღებულ იქნა მიმდინარე წლის დასაწყისში, არსებითად კრძალავს ახალი მანქანების შიდაწვის ძრავებით გაყიდვას გამოქვეყნების დღიდან, თუ ისინი არ მუშაობენ ისეთ საწვავზე, რომელიც არ გამოყოფს ნახშირორჟანგს.

გერმანიის საავტომობილო ინდუსტრიას ბერლინის მხარდაჭერით გაჰქონდა ნახშირბად-ნეიტრალური საწვავის მანდატი, რამაც დაბლოკა ტექსტის საბოლოო მიღება, სანამ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა.

ჩიხური სიტუაცია დასრულდა 2023 წლის მარტში, როდესაც ევროკომისიამ დადო შეთანხმება ბერლინთან, რათა გაგრძელდეს შიდაწვის ძრავებით ახალი მანქანების რეგისტრაცია 2035 წლის შემდეგაც, იმ პირობით, რომ ისინი მუშაობენ „ექსკლუზიურად CO2 ნეიტრალურ საწვავზე“.

თუმცა, ახლა წარმოიშვა შიდა დავა კომისიაში „CO2 ნეიტრალური საწვავის“ განსაზღვრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ შიდა ბაზარზე პასუხისმგებელი გენერალური დირექტორატი (DG GROW) და კლიმატის ქმედებებზე პასუხისმგებელი დირექტორატი (DG CLIMA), თანახმად EURACTIV-ის შიდა დოკუმენტებისა.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/VwloSJYx>

ღონისძიებები

საერთაშორისო სასწავლო სემინარი **„მდგრადი ბიოენერგეტიკული გათბობა, ბაზრის განვითარება და ტექნოლოგიები“**

თარიღი: 2-5 ოქტომბერი, 2023

ადგილი: ლინცი, ავსტრია

სემინარის თემები:

- წარმატების ფაქტორები მდგრადი ბიოგათბობის რეგიონალური/ლოკალური ბაზრის განვითარებისთვის
- ტექნოლოგიის მიმოხილვა (წვა, ემისიები), სისტემის კონსტრუქციები
- საწვავის სტანდარტები, ლოჯისტიკა და მდგრადობის საკითხები (ხის პელეტები, ხის ჩიპსები)
- ბიზნესისა და დაფინანსების მოდელები, მარკეტინგი

დეტალური ინფორმაცია - <https://www.cleantechcluster-energie.at/en/bioenergy-heating>

[მე-16 საერთაშორისო კონფერენცია "ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება"](#)

[მწვანე ენერჯის ინვესტირების მე-10 ფორუმი](#)

თარიღი: 11-13 ოქტომბერი, 2023

ადგილი: ათენი, საბერძნეთი

[მე-5 საერთაშორისო კონფერენცია - განახლებადი ენერჯია, რესურსები და მდგრადი ტექნოლოგიები](#)

თარიღი: 13-14 ნოემბერი, 2023

ადგილი: სასტუმრო მილენიუმი, პარიზი, საფრანგეთი

[კონფერენცია- ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობა 2023](#)

თარიღი: 15–16 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: ევროსაბჭო ენერგოეფექტური ეკონომიკისთვის (ECEEE)

ადგილი: ჯერ არ არის განსაზღვრული

[Behave 2023 - მე-7 ევროპული კონფერენცია ქცევისა და ენერგოეფექტურობის შესახებ](#)

თარიღი: 28–29 ნოემბერი, 2023

ორგანიზატორი: EuropeanEnergyNetwork (EnR)

ადგილი: მასტრიხტი, ნიდერლანდები

